Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 30 (107) გამოც. მე-3 წელი | ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი | ბერლინი, 31 ივლისი, 1944 წ.

ჩვენი პასუხია: ურყევი ერთგულება

საშინელმა აღშფოთებამ შეგვიპყრო, როდესაც გავიგეთ, რომ ზოგიერთ საზიზღარ გამცემს სურდა მოეკლა ყველა დროის ყველაზე დიდი სახელმწიფო მოღვაწე, თავისუფლებისათვის მებრძოლი და ჩვენი მომავლის საწინდარი — ადოლფ ჰიტლერი. სიხარულითა და განსაკუთრებული კმაყოფილებით შევიტყვეთ მაშინვე, რომ ფიურერი ცოცხალი და უვნებელი გადარჩა.

ძრწოლა აგვიტანს ხოლმე თუნდაც იმის გაფიქრებით, რომ ფიურერი შეიძლება მოეკლათ, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენია ის უბედურება, რომელიც მისი სიკვდილით თავს დაგვატყდებოდა. დიახ, სწორეთ ჩვენ დაგვატყდებოდა თავს! ჩვენთვის ხომ მხოლოდ ერთი შესაძლებლობა არსებობს — ეს არის გამარჯვების შემდეგ თავისუფალი ცხოვრება, ბოლშევიკური უღლის, პლუტოკრატებისა და ურია ექსპლოატატორთა გარეშე. აი, სწორეთ ამ გამარჯვებას მოგვიტანს ადოლფ ჰიტლერი. ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ ჩვენი სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი დაკავშირებულია ფიურერთან. თავისუფლებისათვის ვღვრით ჩვენ სისხლს, ჩვენი მოხალისეები ყველა ფრონტზე მედგრად იბრძოდნენ, ამისთვის მიიღეს მათ მაღალი ჯილდოებიც. ჩვენ მოცემული გვაქვს გერმანული განმასხვავებელი ნიშნები, ჩვენი დაჭრილებისათვის აშენებულია საუკეთესოდ მოწყობილი ლაზარეთები, შესანიშნავი დასასვენებელი სახლები გადმოცემულია ჩვენს განკარგულებაში, — ყველა ამისთვის კი ფიურერს უნდა ვუმადლოდეთ.

მთავარი, რისთვისაც ფიურერს უნდა ვუმადლოდეთ, ის არის, რომ მან საშუალება მოგვცა იარაღით ხელში ვიბრძოლოთ ჩვენი თავისუფლებისათვის. ფიურერმა დაგვიბრუნა პატივი, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში სრულიად არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ბოლშევიკები. ჩვენ ჩვეული არა ვართ ვილაპარაკოთ ჩვენი ყველაზე ძლიერი გრძნობების შესახებ. ჩვენ წარმოვადგენთ ჯარისკაცებს, მთელი არსებით ვიბრძვით საკუთარი ხალხისათვის და დარწმუნებული ვართ ჩვენი საქმის სიმართლეში. მაგალითს ჩვენთვის ადოლფ ჰიტლერი წარმოადგენს, მისი რწმენა ძალას გვმატებს და ჩვენც ღრმად გვჯერა, რომ ყველა სიძნელეს თამამად გადავლახავთ. ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. ჩვენ მხოლოდ ფიურერის ერთგულნი ვართ, ვინაიდან მან დაგვიმტკიცა, თუ რა უსაზღვროდ გვენდობა ჩვენ. მის ასეთ ნდობას არ გავაწბილებთ — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს გავანაღდებთ მიცემულ პირობას.

ფიურერმა თავდასხმის შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „იმ დროს, როდესაც გერმანული არმიები ატარებენ ყველაზე მძიმე ბრძოლებს, იტალიის მაგალითის მსგავსად აღმოჩნდა მცირე ჯგუფი, რომელმაც განიზრახა ზურგში მახვილის ჩაცემა და ამით 1918 წლის განმეორება. ამჯერად იგი სასტიკად მოსტყუვდა!"

ფიურერი ცოცხალია და განაგრძობს თავის დიად საქმეს ხალხთა თავისუფლებისათვის. გამცემლები უკვე დასჯილი არიან. ამაზე გერმანიის საინფორმაციო ბიურო შემდეგს გადმოგვცემს: „შეთქმულების მეთაურთაგან, უშუალოდ თავდასხმის შემდეგ, ზოგმა თავი მოიკლა, ზოგი კი დახვრეტილ იქნა არმიის ათასეულების მიერ. დახვრეტილთა შორის არის აგრეთვე თავდასხმის მომწყობი პოლკოვნიკი გრაფი ფონ შტაუფენბერგი. არავითარი ინციდენტი არსად არ მომხდარა".

ცხადია, ვერავითარი ინციდენტი ვერ მოხდებოდა! მტერი კვლავ ღრმად შესცდა, ამყარებდა რა თავის იმედებს იმაზე, რომ ფიურერი აღარ იქნებოდა. ჩვენ ყველა დარწმუნდით, რომ მტერს ამგვარი ბრძოლით, უზარმაზარი დანაკარგების გაღებით, წარმატება არ ჰქონია. ბრძოლის ველზე ჩვენ უძლეველნი ვართ! ჯარისკაცებს ეგზავნებათ სულ ახალ-ახალი იარაღი, ინგლისი ძრწის „V-1"-ის დარტყმით, ამიტომ მტერმა შეიგნო თავისი მდგომარეობის უმწეობა, მან იმედი დაამყარა საზიზღარ მკვლელობაზე, რომელიც უნდა განეხორციელებინა გენერლების მცირე ჯგუფს.

მაგრამ ფიურერი ცოცხალია! და მასთან ერთად თავისუფლების საქმეც დღეგრძელობს. მისი მეთაურობით მოხალისენი მიდიან წინ, გამარჯვებისაკენ. მთელი ევროპა სალამს უძღვნის ფიურერს და გერმანიაში ყველა ერთხმად ამბობს: „ყველაფერი ომისათვის!"

უცხოეთის პრესის ყველა გამოხმაურება გამსჭვალულია იმავე სიხარულით, — ფიურერი ცოცხალია! რომელი გაზეთიც არ უნდა გადაშალოთ, იტალიის, საფრანგეთის, იაპონიის, ფინეთის, ნორვეგიის, უნგრეთის, ხორვატიის, სერბიის, საბერძნეთის თუ სხვა ქვეყნებისა, ყველა მადლობას სწირავს განგებას, რომ ფიურერი უვნებელი გადარჩა.

20 ივლისი გვავალებს უფრო მედგრად და დაუნდობლად ვიბრძოლოთ, უფრო ფხიზლად ვიდგეთ ჩვენს სადარაჯოზე. მტერი უნდა განადგურდეს, და იგი განადგურდება კიდეც, ამაში ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ.

გაუმარჯოს ადოლფ ჰიტლერს!

წინ, ადოლფ ჰიტლერთან ერთად!

უფრო მაღლა ავწიოთ ჩვენი საყვარელი შვინდისფერი დროშა, კვლავ მტკიცე ნაბიჯით გავწიოთ საბოლოო გამარჯვებისაკენ!

იაპონიის მთავრობის გადადგომა

დომეის სააგენტოს გადმოცემით, პრემიერ-მინისტრმა გენერალმა ტოჯომ, ტენოს წარუდგინა თავისი კაბინეტის გადადგომის ცნობა. ოფიციალური წრეებიდან იუწყებიან, რომ ახალი ძლიერი კაბინეტის შედგენით უნდა მოხდეს ნაციონალური ძალების კონცენტრაცია და იაპონელი ხალხის შემჭიდროვება საბედისწერო ომის გამარჯვებით დამთავრებისათვის.

ტენომ გენერალ კოიზოს დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა.

ახალი კაბინეტის შემადგენლობა

გენერალმა კოიზომ და ადმირალმა იონაიმ წარუდგინეს იაპონიის იმპერატორს ახალი კაბინეტის სია: პრემიერ-მინისტრი — გენერალი კოიზო, საზღვაო მინისტრი — ადმირალი იონაი, სამხედრო მინისტრი — გენერალი სუგიამა, შინაგან საქმეთა მინისტრი — შიგეო ოდაჩი, ფინანსთა მინისტრი — სარო იშიდატა, შეიარაღების მინისტრი — გინჯირო ფუჯიჰარა, საგარეო და აზიის საქმეთა მინისტრი — მამორუ შიგემიცუ.

პრემიერ-მინისტრ კოიზოს უსრულდება 65 წელი. ერთ დროს ის იყო სამხედრო ვიცე-მინისტრი, 1939-40 წ. წ. — კვანტუნის არმიის შტაბის უფროსი, კოლონიების მინისტრი და ბოლოს 1942 წ. — კორეის გენერალ-გუბერნატორი.

იაპონიის ახალი კაბინეტის შედგენის შემდეგ, მთავრობის ხელმძღვანელმა ოკაზაკიმ განაცხადა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს, — იაპონიის სამხედრო პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მოხდება. ახალმა პრემიერ-მინისტრმა კოიზომ რადიოს საშუალებით მიმართა იაპონიის ხალხს: მე გავაკეთებ ყველაფერს, რაც ჩემგან არის დამოკიდებული, რათა შევძლოთ შექმნილი მდგომარეობიდან გამარჯვებით გამოსვლა და ომის ჩვენს სასარგებლოდ დამთავრება. იაპონიის ხალხმა იცის, საით მიისწრაფვის იგი. თვითეულმა უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა. მე გადაწყვეტილი მაქვს ხალხთან მჭიდრო კავშირში მობილიზაცია გავუკეთო იაპონიის როგორც მორალურ, ისე მატერიალურ ძალებს. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ჩემი მიზანია მოვახდინო ყველა მოკავშირე სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობას.

მეთაური ყოველთვის სანიმუშო უნდა იყოს ჯარისკაცისათვის...

ფიურერის ბრძანება გერმანიის არმიისადმი

გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა გუდერიანმა დიდი გერმანიის რადიოს საშუალებით წაიკითხა ფიურერის ქვემოთმოყვანილი ბრძანება გერმანიის არმიისადმი:

არმიის ჯარისკაცებო!

უსინდისო ოფიცერთა მცირე ჯგუფმა მოახდინა ჩემზე და არმიის შტაბის ხელმძღვანელობაზე თავდასხმა, რათა ამით ხელთ ეგდო ხელისუფლება.

განგებამ ეს უბედურება არ დაუშვა.

სამშობლოში მყოფი ერთგული ოფიცრებისა და ჯარისკაცების დახმარებით, გამცემლების ბრბო რამოდენიმე საათის განმავლობაში იქნა განადგურებული ან დაპატიმრებული.

სხვას მე არც მოველოდი. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, როგორც აქამდე, სამაგალითო დაჯერებით, მოვალეობის ერთგულნი, გმირულად იბრძოლებთ მანამდე, სანამ, მიუხედავად ყველაფრისა, არ მოვიპოვებთ გამარჯვებას.

ფიურერი
ადოლფ ჰიტლერი.

ფიურერის მთავარი სადგომი, 21.7.44

*

ფიურერის მადლობა ერთგულებისათვის

მთავარი სადგომი, 24 ივლისი. ფიურერი იუწყება:

„ჩემზე და ჩემს თანამშრომლებზე მომხდარი თავდასხმის გამო, მივიღე გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენისაგან და განსაკუთრებით პარტიისა და სამხედრო ნაწილებისაგან მრავალი მილოცვა და ერთგულების დადასტურება, ამიტომ მსურს ყველას, ვინც ამ დღეებში მე მომიგონა, ჩემი და ჩემი ამხანაგების სახელით, ასეთი გზით გულითადი მადლობა გადავუხადო".

ადოლფ ჰიტლერი.

*

ერთიანობის დემონსტრაცია

დიდი გერმანიის იმპერიის მარშალმა, ჰერმან გერინგმა, როგორც გერმანიის არმიის უხუცესმა ოფიცერმა, გენერალ-ფელდმარშალი კეიტელისა და გროსადმირალი დენიცის სახელით მოახსენა ადოლფ ჰიტლერს გერმანიის შეიარაღებული ძალების თხოვნა, რათა არმიაში შემოღებულ იქნას გერმანული სალამი (მარჯვენა მკლავის წინ გამოწევა), როგორც ბელადისადმი ურყევი ერთგულების, არმიისა და პარტიის მჭიდრო კავშირის სიმბოლო. ფიურერის თანხმობით, გერმანიის არმიაში უკვე შემოღებულია აღნიშნული მისალმება.

•

გერმანიის არმიის ყველა ნაწილებში, რომლებიც იმყოფებიან დასავლეთის ფრონტზე და ჯერ კიდევ არ ღებულობენ მონაწილეობას ბრძოლებში, შესდგა კრებები, რომლებზედაც დანაყოფების მეთაურებმა გაიმეორეს ერთგულების ფიცი და გამოხატეს შეურყეველი საბრძოლო ერთიანობის რწმენა. დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალ-ფელდმარშალმა ფონ კლუგემ, ჯარისკაცებისადმი თავისი მიმართვა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „სამშობლო მზად არის აწარმოოს ომი, ბრძოლა ფრონტებზე გრძელდება!"

•

შრომის ორგანიზაციის საიმპერიო ხელმძღვანელი დოქტორი ლეი სიტყვით გამოვიდა ბერლინის ერთ-ერთი სამრეწველო საწარმოს მუშათა შეკრებაზე, სადაც გამოსთქვა მშრომელთა გულისწყრომა ფიურერზე მომხდარი თავდასხმის გამო. თავის სიტყვაში დოქტორმა ლეიმ, სხვათა შორის, აღნიშნა: „წარმოუდგენელია ის შედეგი, რომელსაც ჩვენ მივიღებდით, თუ აღნიშნული თავდასხმა განხორციელდებოდა. სრულიად განადგურებული იქნებოდა აღმშენებლობის უზარმაზარი გეგმა, გაქრებოდა ყოველგვარი იმედი წარმატებაზე და გამარჯვებაზე. მილიონობით გერმანელები ჩავარდებოდნენ გამოუთქმელ საყოფაცხოვრებო პირობებსა და მონობაში. უბედურება და შიმშილი დაისადგურებდა მათ შორის. ფუჭად ჩაივლიდა ყველა ის მსხვერპლი, რომელიც გაიღეს გერმანელი ჯარისკაცების მილიონებმა ფრონტზე, ხოლო მათმა ოჯახებმა — სამშობლოში. ბედის ამარა დარჩენილი გერმანელი ხალხი გადაცემული იქნებოდა გერმანიის მტრების ხელში, რომლებმაც არ იციან არავითარი შეწყალება.

გერმანიის ხალხი ბედნიერია, რომ მათი ბელადი უვნებლად გადარჩა".

დასასრულ დოქტორმა ლეიმ აღნიშნა, რომ გერმანელები იტანენ ყველა სიძნელეს, გაუძლებენ ყოველგვარ დარტყმებს და ბელადის გარშემო შემჭიდროებულნი, მიაღწევენ საბოლოო გამარჯვებას.



ახალი გერმანული იარაღი „V-1". რეპროდუქცია ინგლისის სააგენტოს „ასოშიეიტიდ პრესის" ფოტოსურათიდან.

გმირული ბრძოლა კუნძულ საიპანზე

იაპონიის საიმპერატორო სადგომმა გამოაქვეყნა ცნობა კუნძულ საიპანზე იაპონიის გარნიზონის მიერ წარმოებული გმირული ბრძოლის შესახებ.

კუნძულისათვის გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო იაპონიის კონტრშეტევით ამერიკელთა ჭარბი ძალების წინააღმდეგ. იაპონიის მთელმა გარნიზონმა შესწირა თავი, მათ შორის ხმელეთის ჯარების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა გზოსუგუ საიტომ, საზღვაო ძალების სარდალმა კონტრ-ადმირალმა ტოკაზისა ცუჯიმურამ და აგრეთვე წყნარი ოკეანეს ფრონტის ამ უბნის მთავარსარდალმა ვიცე-ადმირალმა ხუიში ნაგუმომ.

კუნძულის იაპონელი მოსახლეობა გარნიზონს ბოლომდე უწყობდა ხელს. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსახლეობამ ალბათ გაიზიარა იაპონიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა ბედი. აღნიშნული ბრძოლის დასაწყისში საიპანის საბრძოლო ერთეულთა მთავარსარდალმა შეასრულა საზეიმო ცერემონია და მის შემდეგ ამოღებული ხმლით, „ბანზაის" სამჯერ შეძახილით, ეკვეთა ამერიკელებს. თავისი სიკვდილით ამ ბრძოლას შეეწირა აგრეთვე სამი ათასი დაჭრილი იაპონელი.

ამერიკელთა მარცხი

იაპონიის საიმპერატორო სადგომის ცნობით, რამდენიმე ამერიკულმა დივიზიამ დაიწყო სადესანტო ოპერაციები აგაშის სრუტის რაიონში და კუნძული გუამის დასავლეთ ნაწილში. იაპონიის გარნიზონის ბრძოლები სადესანტო ჯარებთან გრძელდება. ბრძოლების მეორე დღესვე ამერიკელებმა დაჰკარგეს 1.200 კაცზე მეტი.

გუამი სამხედრო-საზღვაო დასაყრდენი პუნქტია, იგი ჩამორთმეულია იაპონელების მიერ იაპონია-ამერიკას შორის სამხედრო მოქმედებათა დასაწყისში.

*

დუჩე — ადოლფ ჰიტლერს

უმაღლესი მთავარსარდლობის სადგომიდან დაბრუნებისთანავე, მუსოლინიმ გაუგზავნა ადოლფ ჰიტლერს დეპეში, რომელშიც გამოსთქვამს იმედს, რომ ნაციონალ-სოციალისტური გერმანია და ფაშისტური იტალია, რომლის ჯარები გერმანიაში იწვრთნებიან, მოიპოვებენ გამარჯვებას ბოლშევიკებსა და მის მოკავშირე ქვეყნებზე.

20 ივლისის თავდასხმის მსხვერპლნი

თავდასხმის დროს მიღებული ჭრილობებისაგან 20 ივლისს გარდაიცვალნენ: საჰაერო ძალთა შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი გიუნტერ კორტენი, პირველი გენერალ-შტაბსოფიცერი, არმიის გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების გენერალ-მაიორი ჰაინც ბრანდტი და თანამშრომელი ჰენრიხ ბერგერი.

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

უკანასკნელი კვირის განმავლობაში ყველა ფრონტზე მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლები. ნორმანდიაში ინგლის-ამერიკელებმა ჩაატარეს ძლიერი შემოტევები კანის სამხრეთით, რის შედეგად შესძლეს ჩვენს პოზიციებში შემოჭრა, მაგრამ ფანატიკურად მებრძოლმა გერმანულმა ნაწილებმა მოახერხეს კონტრშეტევით მათი უკანვე განდევნა და ძველი პოზიციების დაკავება. ამ ბრძოლების დროს მტერმა განიცადა ცოცხალი ძალის დიდი დანაკარგი. წამოყვანილია მრავალი ტყვე და განადგურებულია მტრის 500 ტანკი.

სამხრეთი საფრანგეთის რაიონებში შეპყრობილია ბოროტმოქმედთა მთელი ჯგუფები, რომლებიც ტერორისტული აქტებით სცდილობდნენ მოსახლეობაში არეულობის შეტანას.

მთელი კვირის განმავლობაში ლონდონსა და სამხრეთ ინგლისზე მძვინვარებდა „V-1"-ის ცეცხლი.

იტალიაში ინგლის-ამერიკელების შეერთებული ძალები აწარმოებდნენ მძლავრ შემოტევებს ადრიატიკის სანაპიროს ფრონტზე და არეცოს ჩრდილოეთით, სადაც მიმდინარეობს ცხარე ბრძოლები. ლივორნოს მზადების შემდეგ მტერმა დაიწყო შემოტევა ფლორენციის სამხრეთ რაიონზე, მაგრამ მის მიერ გათვალისწინებული გარღვევა ჩვენმა ძალებმა არ დაუშვეს და მტერს დიდი ზარალი მიაყენეს.

როგორც აქ, ისე იტალიის ფრონტის ყველა სხვა რაიონში, მტრის შემოტევები უკუგდებულია.

აღმოსავლეთის ფრონტზე მტერი აწარმოებდა მსხვილი შენაერთებით შემოტევას. ტანკების დაცვით ქ. ლემბერგის ახლოს მოსული მტრის ნაწილები, კონტრშეტევით უკუგდებულ იქნენ. ერთი კვირის განმავლობაში აქ განადგურებულია მოწინააღმდეგის 650-მდე ტანკი.

მდინარე ბუგსა და ვისლას შორის, ცოცხალი ძალებისა და ტექნიკის დიდი დანაკარგით მტერმა შესძლო ტერიტორიის მოგება, მიაღწია რა ქ. ლუბლინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირს. ყველა შემოტევა თვით ქალაქის რაიონზე, მტრისათვის დიდი დანაკარგით უკუგდებულია.

ბრესტ-ლიტოვსკსა და გროდნოს შორის საბჭოთა ჯარები აწარმოებდნენ გაძლიერებულ შემოტევებს, რომლებიც ჩვენმა დივიზიებმა უკუაგდეს და მიაყენეს მათ მძიმე სისხლიანი ზარალი.

ინგლის-ამერიკულ ბომბდამშენთა შენაერთებმა მოაწყვეს თავდასხმები გერმანიის სხვადასხვა ქალაქებზე. ბერლინზე უკანასკნელი თავდასხმის დროს ჩამოგდებულია მტრის 51 ბომბდამშენი.

ინგლისის პრესა „V-1"-ის შესახებ

„ექსჩეინჯ ტელეგრაფის" ცნობით, ამ უკანასკნელ ხანს მფრინავი ბომბებით ინგლისის ბომბარდირების ხასიათი შეიცვალა. ბომბები არა ერთეულებად, არამედ ჯგუფობით, დროგამოშვებით ჩნდებიან ინგლისის ტერიტორიაზე, ალბათ, — ამბობს გაზეთი, — რაოდენობა „V-1"-ის წერტებისა გადიდებულია. ბომბების ნაწილი ვარდება ლონდონის არეში, ნაწილი კი ინგლისის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე. გაზეთი „ოცტონტიდინგენის" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ წარსულ კვირას ბომბარდირებამ წარმოუდგენელი სახე მიიღო. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გერმანელებმა დაიწყეს ახალი, უფრო მსხვილი კალიბრის ბომბების ხმარება.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მორისონმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ის მალე მისცემს სათანადო ახსნა-განმარტებას სიგნალიზაციის ახალი სისტემის შესახებ.

ბრიტანეთის პრესა აღწერს მფრინავი ბომბების მოქმედებას და მათ მიერ გამოწვეულ არეულობას ინგლისში და, კერძოდ, ლონდონში. თემთა პალატის დეპუტატები მოითხოვენ დაცვის ენერგიულ ღონისძიებებს და სიგნალიზაციის სისტემის რეორგანიზაციას.

ბირჟაზე სპეკულაცია იზრდება, ლონდონის ქუჩებში კი განუწყვეტელი ძარცვა-გლეჯაა.

„ნიუს ქრონიკლის" ცნობით, არსებული შეიარაღებული მილიციისა და პოლიციის ძალები მალე საკმარისი აღარ იქნება, რადგან უკვე ამჟამად თვით დაზარალებულნი ქონების დასაცავად ჰქმნიან დამცველ მოხალისეთა რაზმებს.

მინისტრები თავშესაფრებში ანუგეშებენ დაზარალებულთ, პრაქტიკულად კი ხელმძღვანელნი არიან შეუქმნან ლონდონის ღამის ცვლაში მომუშავე მოსახლეობას ძილისათვის მშვიდი პირობები.

მოსკოვის აჩრდილი სუეცის არხზე

მოხ. მ. სარია

მიუხედავად იმისა, რომ ომთან დაკავშირებით დაირღვა მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებანი, სუეცის არხის სტატუტი ოფიციალურად ჯერკიდევ გადასინჯული არ არის. დღევანდლამდე სუეცის არხი ითვლება ბრიტანეთის იმპერიის მთავარ არტერიად. არხის სააქციო საზოგადოება, რომლის აქციების ნახევარზე მეტი ინგლისის ხელშია, ფორმალურად (წმინდა იურიდიული თვალსაზრისით) წარმოადგენს საერთაშორისო საზოგადოებას, მაგრამ იგი ყოველთვის იმყოფებოდა ინგლისელების გაბატონებული გავლენის ქვეშ.

ინგლისელთა როლი, სუეცის არხთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, უკანასკნელად საუკეთესოდ გამოვლინდა აბისინიის კონფლიქტის დროს. მაშინ, როგორც ცნობილია, იტალიამ დააყენა საკითხი არხზე გემების გასატარებლად არსებული მაღალი ფასების შემცირების შესახებ. ეს წინადადება უარყოფილ იქნა უმთავრესად ინგლისელების დაჟინებითი მოთხოვნით. რამოდენიმე წლის შემდეგ, როდესაც სუეცის არხის მმართველი სახელმწიფოებიდან გამოირიცხა დამარცხებული საფრანგეთი, ინგლისს უფრო მეტად გაეხსნა ხელფეხი. მან სრული შესაძლებლობა მიეცა, ემოქმედნა თავისი სურვილის მიხედვით, სხვა ერების ანგარიშგაუწევლად. ეგვიპტესთან ახალი ხელშეკრულების შემდეგ, რომლის ძალითაც სუეცის არხის სანაპიროზე ბრიტანეთს დამატებით გადაეცა რამდენიმე სამხედრო დასაყრდენი პუნქტი, ინგლისი გადაიქცა არხის სრულ ბატონ-პატრონად.

ხმელთაშუა ზღვაზე მომხდარმა სამხედრო ამბებმა ძირფესვიანად შესცვალეს მდგომარეობა. ამერიკა და საბჭოთა კავშირი შეიჭრნენ ინგლისის გავლენის სფეროში. შეირყა ბრიტანეთის პოზიციები ახლო აღმოსავლეთში. ინგლისს დღითიდღე უძნელდება სუეცის არხის დაცვა. ამერიკელებს ჯერ ოფიციალურად არ დაუსვამთ საკითხი სუეცის არხის სტატუტის გადასინჯვაზე, მაგრამ არსებობს იმის უტყუარი ნიშნები, რომ ასეთი მოთხოვნილება წამოყენებული იქნება. ძალების გადაჯგუფებამ ჩრდილოეთი აფრიკისა და არაბეთის სივრცეში მიგვიყვანა იქამდე, რომ ამაყი ალბიონის დროშის გვერდით სუეცის არხში ფაქტიურად უკვე ფრიალებს ამერიკელთა დროშაც.

თუ რა მნიშვნელობა აქვს სუეცის არხს ინგლისისათვის, საკმარისია მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი: მანძილი ტემზიდან ინდოეთამდე, სუეცის არხზე გავლით მცირდება 4.900 საზღვაო მილით, ე. ი. გზის 43 პროცენტით. ამიტომ იყო, როდესაც აფრიკის ოპერაციების დროს შეიქმნა საფრთხე ღერძის სახელმწიფოების მიერ სუეცის არხის გადაჭრისა, ინგლისში მრავალმა მოღვაწემ ხმა აღიმაღლა. ისინი გაიძახოდნენ — ინგლისის ბედი სუეცის არხზე გადაწყდებაო. ეს წინასწარმეტყველება ებლაც ძალაში რჩება, მითუმეტეს, რომ გამოჩნდა ახალი კონკურენტი, რომელიც ყველა საშუალებით სცდილობს მიაღწიოს სუეცის არხის სტატუტის გადასინჯვას. ეს კონკურენტია ბოლშევიკური მოსკოვი.

იმ დროს, როდესაც ამერიკა ჯერკიდევ აშკარად არ ამჟღავნებს თავის ზრახვებს, მოსკოვი უკვე სცდილობს მიიტანოს იერიში ინგლისის პოზიციებზე. ჯუღაშვილის პირველი „წარმატება" იმაში მდგომარეობს, რომ მან საფრანგეთისა და იტალიის აქციების შეძენით, მიიღო მუდმივი ადგილი არხის საზოგადოების გამგეობაში. მაგრამ, ცხადია ამით იგი არ დაკმაყოფილებულა. რამოდენიმე ხნის წინათ, ხმელთაშუა ზღვის კომისიაში საბჭოთა წარმომადგენლმა უკვე სრულიად აშკარად აგრძნობინა მოკავშირეებს, რომ სუეცის არხის სტატუტის გადასინჯვა აუცილებელია, არამედ აუცილებელიც. ბოლშევიკები, ამასთან ერთად, გაცხოველებულ მუშაობას ეწევიან დარდანელის ხელში ჩასაგდებად.

ლონდონში უკვე უკმაყოფილონი არიან „მეგობრის" წოლვაწეობით. აქამდე, ინგლისს იმედი ჰქონდა, წითელი იმპერიალიზმი დაკმაყოფილდებოდა თავისი პრეტენზიებით დარდანელზე და ბოსფორზე. სრუტეების პრობლემით ჩერჩილს სურდა შეესუსტებინა ბოლშევიკების ყურადღება და ინტერესი სუეცის არხისადმი. მაგრამ კრემლის ბატონებმა ხელახლა წამოაყენეს თავიანთი ძველი ლოზუნგი — „სუეცის არხი უნდა იყოს თავისუფალი ყველა სახელმწიფოს გემებისათვის". საბჭოთა დიპლომატები მიჩვეული არიან თავიანთი ნამდვილი მიზნების შენიღბვას.

ინგლისს არ შეუძლია დამშვიდებით უცქიროს საბჭოების ამ მოთხოვნილებას. აქ საქმე ეხება ისეთ მოწინააღმდეგეს, რომელთანაც ხუმრობა არ შეიძლება.. იგი ეხლა „მოკავშირეა". მან დიდი მსხვერპლი გაიღო აღმოსავლეთის ფრონტზე და იმედი აქვს, იგი აიანაზღაურის. ცხადია, ინგლისს შეეძლო საბჭოთა კავშირისათვის მტკიცე უარი ეთქვა მის მოთხოვნილებებზე (ისევე, როგორც თავის დროზე იტალიელებს უთხრეს), თუ მეორე „მეგობარი" მას მხარს დაუჭერდა, მაგრამ ამერიკა ინგლისის მხარეზე არ აღმოჩნდა. ვაშინგტონი დღეს დროებით გაჩუმებულია და შესაფერ მომენტს უცდის. იგი წყლის ამღვრევას ელის და შემდეგ შეეცდება ისარგებლოს.

დაწყებული ბრძოლა სუეცის არხის ხელში ჩასაგდებად წარმოადგენს ერთერთ რგოლს იმ დიდი წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს დემოკრატიულ და ბოლშევიკურ იმპერიებს შორის არაბეთის სივრცის განაწილების საკითხში. ეს წინააღმდეგობა თანდათან იზრდება. რით დამთავრდება იგი ჯერკიდევ ძნელი სათქმელია, მაგრამ ის ფაქტი, რომ „მოკავშირეები" ვერ ბედავენ გადაჭრით დასვან საკითხი სუეცის არხის შესახებ, ამტკიცებს, რომ ახალ შეჯახებათა დროს ადგილი ექნება მრავალ, ორივე მხრისათვის არასასიამოვნო მომენტებს.

სუეცის არხისა და არაბეთის სივრცის ბედი გადაწყდება სულ სხვა ადგილზე, სახელდობრ იქ, სადაც წითელ იმპერიალიზმსა და დასავლეთის აგრესორებს ჩაუ[illegible] სასიკვდილო ლახვარი. ჯუღაშვილი და [illegible]რჩილი სრულიად ზედმეტად სტვირთავენ თავს მოიგონონ სხვადასხვა დიპლომატიური ხერხები. საკითხი გადაიჭრება მათი მონაწილეობის გარეშე.

ახალი დანიშვნები იაპონიის ჯარსა და საზღვაო ფლოტში

ტოკიოდან იუწყებიან, რომ ადმირალი ნაოკუნის იაპონიის საზღვაო მინისტრად დანიშვნა გამოწვეულია მინისტრის თანამდებობის გამოყოფის აუცილებლობით გენერალური შტაბის საზღვაო უფროსის თანამდებობიდან. დღემდე ეს პოსტი ყოველთვის საზღვაო მინისტრს ეჭირა.

იაპონიის ახალმა მინისტრმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იაპონიის საზღვაო ფლოტის განახლების ხანა დამთავრებულია და იგი მზად არის შეუტიოს ახალ საბრძოლო მოქმედებებს.

ასეთი ანალოგიური ცვლილება შეტანილია აგრეთვე ჯარში, სადაც მინისტრ-პრეზიდენტსა და სამხედრო მინისტრს, გენერალ ტოიოს ეკავა აგრეთვე არმიის გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობა. ეხლა არმიის გენერალური შტაბის უფროსად დანიშნულია კვანტუნის არმიის ყოფილი მთავარსარდალი გენერალი იოშირო უმეძუ.

*

სიმართლის აღიარება

ლონდონის პრესამ საგრძნობლად შეანელა ტონი მონტგომერის დიდი შეტევის შესახებ, რაზედაც ჯერ-კიდევ რამოდენიმე კვირის წინათ ასე ბევრს ლაპარაკობდა და აქებდა. იმ ფაქტს, რომ ნახევარკუნძულ კოტანტენზე შეტევა სუსტი ტემპით მიმდინარეობს, ის ცუდ ამინდს აბრალებს. მხოლოდ ხანდახან შეიძლება შეგვხვდეს კორესპონდენტთა ცნობები შემოჭრის რაიონიდან, რომლებიც მდგომარეობას სწორად აშუქებენ.

„გაზეთებს უკვე მრავალი წელია ვაწვდი ომის შესახებ ცნობებს, მაგრამ არასოდეს არ მინახავს ასეთი საშინელი ბრძოლები, ამდენი მოკლული და დაჭრილი, როგორც კაენთან. ჰოგრიტის დაუზმარებლად, საქსებით გარკვევით ვამჩნევდი, თუ როგორ დასტობით იგზავნებოდნენ ცეცხლის ფარდის იქით კანადელთა დამკვრელი ნაწილები და ტანკები. ყუმბარები ათასობით სკდებოდა მათ შორის. მე ვხედავდი ამ კანადელებს, რომელთაგან ზოგიერთები უეცრად ხელების ქნევით ეცემოდნენ, ხოლო სხვები დაცემის შემდეგ მიწაზე შეტრიალდებოდნენ ხოლმე", — ამბობს „დეილი სკეჩის" სამხედრო კორესპონდენტი, ინგლის-ამერიკელთა კოლოსალური დანაკარგების შესახებ შთაბეჭდილებათა გამოთქმის დროს.

ათასეულის მეთაური მოუთხრობს თავის ახალგაზრდა მებრძოლებს მსოფლიო ომისდროინდელ ამბებს, რომელშიც იგი მონაწილეობას იღებდა.

შინსახკომის შავი სიები

ბერლინის გაზეთი „ზარიას" განკარგულებაში იმყოფება ბოლშევიკების ოფიციალური საბუთები, რომლებიდანაც ნათლად ჩანს, თუ წინასწარ როგორ ემზადებიან ბოლშევიკი ჯალათები ანგარიში გაუსწორონ ხალხს.

ერთ-ერთ ბოლოში, მეურნეობა-დეპარტამენტის ბელოზერიკმა მიიღო დავალება უკრაინის მესამე ფრონტის შტაბიდან, სასწრაფოდ უზრუნველყოს ნაირის ჯანელიძის ქ. ჩერნოვიცში შ-2 თვითმფრინავით გადაყვანის შესახებ. ხშირი ნისლის გამო თვითმფრინავმა დაკარგა ორიენტაცია. რადგან რუსის რაიონში გერმანული საზენიტო არტილერიის ცეცხლით თვითმფრინავი დაზიანდა და მთავარი ჯანელიძე მძიმედ დაიჭრა. ლეიტენანტმა ბელოზერიკმა მოახერხა გამოეყვანა მანქანა ხრამიდან ერიდან და მიუბში დაშვებულიყო.

სავალდებულოდ რამდენიმე წუთით ადრე მაიორმა ჯანელიძემ ბელოზერიკს გადასცა საიდუმლო საბუთებით სავსე პორტფელი და უბრძანა მისი ქ. ჩერნოვიცში მიტანა, საზიზრიების შემთხვევაში კი — დაწვა. ლეიტენანტი ბელოზერიკი გაუფრთხილებელი იყო, რომ ჯანელიძის გადაყვანაზე თავისი სიცოცხლით აგებდა პასუხს. მან აგრეთვე კარგად იცოდა, რომ ფრონტის ხაზის გადალახვის შემთხვევაშიც კი ვერ ასცდებოდა რეპრესიებს. ამიტომ იგი გამოცხადდა ადგილობრივი გერმანული გარნიზონის კომენდატურაში, ჩაბარდა ტყვედ და გადასცა ყველა ის საბუთები, რომლებიც მაიორ ჯანელიძეს მიჰქონდა ჩერნოვიცში.

სხვა საიდუმლო ბრძანებებსა და დირექტივებს შორის, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორი საკმაოდ მოზრდილი ბროშურა, გამოცემული სტამბური წესით და მრავალმნიშვნელოვანი წარწერით გარეკანზე:

„სრულიად საიდუმლოდ. მტრის ხელში ჩავარდნის საშიშროების დროს — უნდა მოისპოს". ერთ-ერთ მათგანს პირველ გვერდზე აქვს სათაური:

„სია № 260, სამშობლოს მოღალატეების, გამცემლებისა და გერმანელების ხელისშემწყობთა პირებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ეხლა იმალებიან ჩვენს ზურგში. ნოემბერი 1943 წ.".

მეორე ბროშურა — სიები № 260 და 261, გამოცემული ერთდროულად გამომცემლობის, სახელდობრ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის მეორე სამმართველოს მიერ.

აშკარაა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1943 წლის ნოემბრამდე უკვე დანომრილი უოდილა 260-ზე მეტი სია, თვითეული ხუთასი კაცით.

ვინ შეიტანეს ბოლშევიკებმა ამ საიდუმლოებით სიებში? ვინ გამოაცხადეს მათ მოღალატეებად და გამცემლებად?

იგულისხმება, რომ პირველ რიგში ის აქტიური მებრძოლები, რომლებმაც კომუნისტი საგრძნობლად სამშობლოს განთავისუფლებისათვის იარაღს მოჰკიდეს ხელი. სიებში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერებს:

„მიხეილ ვასილიჩევ ვორობიოვი, დაბადებული 1922 წელს, რუსი, როსტოვის ოლქის. სტუდენტი კაზანის სოფლის სამეურნეო მეურნეობის, 1941 წლამდე მუშაობდა თავის სამშობლოში; კომკავშირის ყოფილი წევრი; მისი ძმა ანდრია 1943 წელს დააპატიმრებულია შინსახკომის ორგანოების მიერ. ქ. ტაგანროგში ნებაყოფლობით შევიდა გერმანულ ჯარში".

„ამიერკავკასიის თათარი, ყვიბაძე ტანის, გამხდარი, შავთვალა. წითელ ჯარში ყოფნისას, 1942 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს, თავისი სურვილით შევიდა „თურქესტანულ მოხალისეთა ათასეულში". მონაწილეობას ღებულობდა წითელი ჯარის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებში".

ამ სიებში ბოლშევიკებმა შეიტანეს აგრეთვე მათ მიერ დაკავებული ოლქების ყველა სხვა მცხოვრებიც.

მეც სიებში შეტანილი არიან არამარტო სოფლის აგრონომები, სტაროსტები, გადამწერები, არამედ ყველა ის პირიც, ვინც მათ რაიმე დავალების ასრულებდა. ერთ-ერთ სიაში ვკითხულობთ:

„კირნიჩუკი ნიკოლოზ, დაბადებული 1916 წ., ცხოვრობდა ხარკოვის ოლქის კრასნოგრადის რაიონის სოფელ კიბზეევკაში, მსახურობდა სოფლის მეურნეობაში გადამწერად, აწარმოებდა საქონლისა და ფრინველის აღწერას (იქნას დაკავებული და დაკითხული)".

გამცემლებად და მოღალატეებად ბოლშევიკები აცხადებენ არამარტო მწერლებს, არამედ ყველას, ვინც ეწეოდა რაიმე სახის შრომას და თავისი სახლის შიშვლობდა.

„ლუზინენკო მარია თევდორეს ასული, დაბადებული 1925 წელს, უკრაინელი, კომკავშირის ყოფილი წევრი. ოკუპაციის პერიოდში მუშაობდა რძის მიმღებად".

ოვრამენკო ქლის ქალიშვილი, რომელიც თავისი შვილების მიზნით, ხაოილებიდან რძეს ახსნიდა, გამოცხადებულია სამშობლოს მოღალატედ!

ბოლშევიკებმა გამოცემს რა კლასობად საბჭოთა კავშირის მოსახლეობა, უკველთვის ოფიციალურად ულირატესობას მუშათა კლასს ანიჭებდნენ. მაგრამ შინსახკომის პრაქტიკოსები ბოლშევიკური დემაგოგიისთვის ასეთ „მეცნიერულ" დოქტრინებს მაინცდამაინც არ ეთანხმებიან და საკონცენტრაციო ბანაკებში მუშების რაოდენობა არასოდეს არ ყოფილა ნაკლები მოსახლეობის სხვა კატეგორიებთან შედარებით. შინსახკომის ჯალათებმა ეხლაც არ არიან გვერდი ამ მუშებს, რომლებიც გერმანელებთან რაიმე სამუშაოს ასრულებდნენ. № 261 სიაში ვკითხულობთ:

„ბაკუნა ივანე ხელენას, დაბადებული 1905 წ., ცხოვრობდა ხარკოვის ოლქის სოფელ ალექსეევკაში; ხარკოვის საცრაქტორო ქარხნის ყოფილი ზეინკალი; სოფელ ალექსეევკის ოკუპაციის პერიოდში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ელექტროსადგურისა და რძის ქარხნის აღდგენაში (იქნას დაკავებული და დაკითხული)".

ბოლშევიკებს ხრუშიად არ აინტერესებთ, როგორ უნდა ეცხოვრა ზეინკალ ბაკუნს ორი წლის განმავლობაში, რამე საქმისათვის ხელი რომ არ მოეკიდა! შინსახკომელებისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება — მიძებნა, დაკითხვა და დახვრეტა ან ჩამოხრჩობა.

ნინა ვაკულენა სწავლობდა თარჯიმანთა სკოლაში; პროფესიონალმა ფელდშერმა არ დატოვა თავისი კარიერა და განაგრძო მუშაობა ხარკოვის უნივერსიტეტში; ზინაიდა იაკოვლევა მასწავლებლად იყო თარჯიმანთა სკოლაში; ივანე კუხარევს ბინაზე ცხოვრობდა გერმანელი ოფიცერი...

მხოლოდ ამის გამო ყველა ისინი კანონგარეშე არიან გამოცხადებული.

შინსახკომის ჯალათების მიერ აღრიცხვაზე აყვანილია საბჭოთა კავშირის მთელი ოკუპირებული მოსახლეობა. გერმანიაში სამუშაოდ მყოფნი, გერმანული არმიის მიერ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი და ყველა სამხედრო ტყვე. ბოლშევიზმი ემზადება ანგარიში გაუსწოროს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ამ მილიონებს.

ჯუღაშვილი და მისი ურიული შინსახკომი გამარჯვების მოლოდინში კბილებს ილესავენ გაფუვარის სისხლიანი ზეიმისათვის. მაგრამ ბოლშევიზმის წინააღმდეგ სასიკვდილო ბრძოლა მხოლოდ ეხლა შედის თავის გადამწყვეტ ფაზაში. როგორი დამთავრდება ეს ომი, ცხადია, არავითარი ეჭვი არ უნდა იწვევდეს: ბოლშევიზმი განადგურებული და მოსპობილი იქნება.

ბრძოლები ალმოსავლეთში

საკუთარი კორესპონდენტისაგან

1.

გაზაფხულის მზეს ვერ მოუსწრია ბუნების გამოღვიძება ზამთრის ძილისაგან. რუსეთის თვალუწვდენი ტრამალები ჯერ-კიდევ თოვლის საბურველით არის დაფარული. დროდადრო უბერავს სუსხიანი ქარი...

ჩვენი ნაწილი ფრონტის ხაზზე ერთ-ერთ სოფელში დაბანაკდა. ქართველი მოხალისეები აქ გერმანულ ნაწილში ირიცხებიან და მათ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად მოუხდებათ იბრძოლონ სისხლიანი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების გუგუნი აყრუებს არემარეს. ეს ხმა გვიხმობს ჩვენც ბრძოლისაკენ და მოუთმენლად მოველით ბრძანებას. ყველას შეგნებული გვაქვს ბრძოლის მიზანი, თვითეულ ჩვენგანს ამოძრავებს მხოლოდ ერთი იდეა, ეს არის ბრძოლა ჩვენი სამშობლოს დამმონებელთა წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე. ქართველთა მკლავი უძლეველი იყო წარსულში, ქართველთა გმირობამ შესძრა მთელი ქვეყანა უკანასკნელი ბრძოლების დროს პერეკოპზე, იტალიაში და ეხლაც ჩვენ ყველა გამსჭვალული ვართ ერთი გრძნობით — არ შევარცხვინოთ წინაპრებისა და მებრძოლი ძმების სახელოვანი ტრადიციები.

დადგა საოცნებო წუთიც. მივიღეთ ბრძანება წინსვლის შესახებ. გზა ხშირად იკარგება თოვლქუჩში და ალაგ-ალაგ გაუვალი ტალახიც აფერხებს მოძრაობას.

ბუნების სტიქიას არ ძალუძს შეაჩეროს მოხალისეების ენერგია და ნებისყოფა. რამდენადაც ძნელდება სვლა ტალახიან გზებში, იმდენად მტკიცდება და კაჟდება ჩვენი გადაწყვეტილება — ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე...

2.

გერმანელი ჯარისკაცი მიუძღვის წინ ტრანსპორტს.

მოულოდნელად ცხენები შეჩერდნენ. ირგვლივ გაუვალი ტალახია. მწვავე სუსხი მკინავს ხელფეხს. გერმანელი მთელ ძალღონეს სჭიმავს გაატაროს თავისი ოთხთვალა, მაგრამ არ ძალუძს. საღამო ხანია და პატრონთან ერთად ცხენებსაც შეაპარეთ დაღლა...

მტერმა შეამჩნია გზაში ჩაჩერებული ტრანსპორტი და ცეცხლი გაუხსნა... სამშობლოსთვის თავდადებული მებრძოლი არ სტოვებს თავის პოსტს. იგი თავგანწირვით მოქმედებს, სურს გადაარჩინოს ძვირფასი სამხედრო საჭურველი და გამწევი ძალა. მის ირგვლივ ტყვიები ზუზუნებენ...

თითქოს გამოუვალი მდგომარეობა იქმნება...

მაგრამ ხდება მოულოდნელი ამბავი...

— ქამრადე, არ შეშინდე, მე შენთან ვარ! — გაისმა ხმა და მტრის შეუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ მყოფ გზაზე გამოჩნდა ბრგე ქართველი მოხალისე.

მან, შიშის გარეშე, მხრებით აწია ტრანსპორტი და მყისვე გამოიყვანა საშიში ადგილიდან. გერმანელი გაოცებულია, აღარ იცის, როგორ გადაუხადოს მადლობა ქართველ მოხალისეს, რომელიც თავის მხრივ სცდილობს გაავებინოს მას, რომ ასეთ საქციელში საკვირველი არაფერია. ქართველები თავგანწირული ხალხია, მათ მტრის ცეცხლი ვერ შეაშინებს, საჭირო იყო ამხანაგის განსაცდელისაგან დახსნა. საკუთარი სიცოცხლე საერთო საქმეს უნდა შეეწიროს. მოხალისეს სურს კიდევ ბევრი რამ უთხრას გერმანელს ქართული ზნე-ჩვეულებების შესახებ, მაგრამ სიტყვების მარაგი აღარ ჰყოფნის, სამაგიეროდ ენერგიულად უთითებს მარჯვენა მკლავზე გაკეთებულ ნიშანს და რამდენჯერმე იმეორებს — „გეორგიენ". ეს სიტყვა ხომ ჩვენთვის ყველაფერს ნიშნავს!

გერმანელი ჯარისკაცები აღტაცებულნი არიან ქართველი მოხალისის გმირული მოქმედებით. მეთაურებიც კმაყოფილებით აღნიშნავენ მის სიმამაცეს...

3.

შეტევის „მეორე" დღე. ჩვენი ნაწილი კვლავ წინ მიიწევს.

მტერი სისხლისაგან იცლება, მაგრამ მაინც განაგრძობს წინააღმდეგობას. უკანასკნელად მან ბრძოლაში ტანკების ჩაბმა განიზრახა. ჩვენი ასეულის მდგომარეობა შედარებით გაუარესდა.

ასეულის მეთაურმა გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, გაენადგურებინა მტრის ტანკების შენიღბული კოლონა. გაიცა ბრძანება: „ვის სურს ნებაყოფლობით აიღოს თავისთავზე ამოცანის შესრულება?" იგი არც ისე ადვილად შესასრულებელი იყო. ერთი ან ორი კაცი — რამდენიმე ტანკის წინააღმდეგ!..

მეთაური იცდის... მსურველები თითქოს არ არიან...

მაგრამ აი, მის წინაშე ალიმართა ჯმუხი ვაჟკაცი, რომლის სახის გამომეტყველებაც ამტკიცებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ტანკებს კი არა, ეშმაკსაც არ შეუშინდებოდა. გერმანელთა სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც მეთაურთან ახალგაზრდა მებრძოლში ქართველი მოხალისე გამოიცნეს. ქართველის მაგალითით წახალისებულმა ერთ-ერთმა გერმანელმა ეფრეიტორმაც განაცხადა სურვილი წასულიყო ტანკების მოსასპობად.

ორი მამაცი ვაჟკაცი ხოხვით გაემართა მტრის ტანკების განლაგების ადგილისაკენ. რამოდენიმე წუთი და გაისმა საშინელი აფეთქების ხმა. მტრის ტანკები განადგურებულია. გმირების დაბრუნება უკან ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. ოფიცერმა გადაჰკოცნა თავდადებული მებრძოლები და დანარჩენებს მიმართა სიტყვით — აიღონ მათგან თავგანწირვისა და სიმამაცის მაგალითი.

გზა გახსნილია... ასეული განაგრძობს წინსვლას...

4.

შუაღამე გადასული არ იყო, როდესაც ასეულის დღიურში კიდევ ერთი გმირული ეპიზოდი ჩაიწერა.

ქართველი მოხალისე დაზვერვაზე გაგზავნეს. გზაში მან მტრის ათეული შენიშნა და დამხმარე ძალით ყველანი დაატყვევა. ბინაში ათიოდე ილაჯგაწყვეტილი, დაქანცული და მშიერი წითელარმიელი შემოიყვანეს. რამდენი ტანჯვა და უკმაყოფილების გრძნობა გამოსჭვიოდა მათ სახეზე!

ცნობისმოყვარეობით შევეკითხეთ მათ, ნუთუ ამ ხალხს ჯერ-კიდევ ვერ შეუგნია, რომ ბრძოლა ჯუღაშვილის მხარეზე, ნიშნავს საკუთარი დამონებისათვის ბრძოლას? ერთ-ერთმა ჩვენგანმა ვერ მოითმინა და გულუბრყვილოდ შეეკითხა: „გვგვავებინეთ, რატომღა იბრძვით, როდესაც ასეთ ცუდ პირობებში იმყოფებით?" ტყვეების სახეებზე ნაძალადევი ღიმილი ჩანს. მოისმა გაუბედავი პასუხი: „ალბათ თქვენ დაგავიწყდათ შინსახკომის კანონები, არ იბრძოლებ და ჩაგაძაღლებენ".

პასუხი დამაჯერებელია. ჯერ-კიდევ იბრძვიან ჯუღაშვილის მონები. მაგრამ როგორც ჩვენ, ისე ისინიც დარწმუნებული არიან, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც მახვილი შებრუნდება და ივდა-ბოლშევიზმი სამარცხვინოდ დაასრულებს თავის ბოროტებით აღსავსე არსებობას.

მოხ. პ. გ — ლია.

მოხალისის უბის წიგნაკიდან

ირანში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი*

მოხ. მ. ეცერილი

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. — ირანის საზღვრის გადალახვა. — როგორ დაესხა თავს წითელი არმია მშვიდობიან სპარსელებს. — ჩვენი ნაწილის ლაშქრობა ჩრდილო ირანის უდაბნოში. — „არსაიდან ხმა, არსით ძახილი". — სპარსელების თავდაცვა მაინც საგრძნობია. — რუსებმა იწვნიეს, რას ნიშნავს დაუპატიჟებელი სტუმრობა. — კლდის ქალაქი მაქუ. — როგორ გვიყურებდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. — მაინც მივგრეკავენ წინ. — ურმია. — სპარსული ცხენოსანი დივიზიის გმირობა. — ჩვენ უკვე თურქეთის საზღვართან ვართ. — რუსები მხეცებსავით გვექცევიან. — მოთმინების ფიალა აივსო. — ქართველი ვაჟკაცები სამაგიეროს უხდიან დამონებლებს. — ხოი — წალკოტთა ქალაქი. ვარდების ბაღნარი. — ჩემი მგზავრობა თავრიზში. — მინარეთების სამფლობელოში. — მოულოდნელი შეხვედრა ფერეიდნელ ქართველებთან. — თავი სიზმარში მგონია. — ყოლა ჰუსეინ ბოინელის ნაამბობი.

გუშინ ბრძანება მივიღეთ — ადგილი უნდა შევიცვალოთ.

ღამე განგაშით წამოგვაყენეს. ჩვენი კოლონა გზატკეცილზე ჯემის ბაგირხავით გაიჭიმა. ჩინებული საავტომობილო გზა იყო, მოასფალტებული, საკმაოდ განიერი, სამი მანქანა თავისუფლად უქცევდა ერთმანეთს გვერდს. ეს გზა ჩრდილოეთ ირანში ერთადერთია, რომელსაც სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. იგი ირანიდან თურქეთში გადადის და ამ მხარეში რკინიგზის მაგიერობას ასრულებს...

მთელ ღამეს ვიარეთ, დილით ტრიალ მინდორზე კარვები დასცეს, ნება დაგვრთეს დაგვეძინა... საღამოზე კვლავ გზას გავუდექით... მაგრამ ჩვენს მარტვილობას მაინც ბოლო არ უჩანდა.

უკანასკნელი ღამე... მცირეოდენი შესვენების უფლებაც არ მოგვცეს... დილამდე ვაგრძელებდით ლაშქრობას... ცის თაღზე ხარიმარია გამოჩნდა. სქელი ნისლი ჩამოსწოლოდა ბორცვებსა და გორაკებს...

შორით ბაღები შევამჩნიეთ. განთიადის საამო სიო სახეზე გველამუნებოდა და ბაღების ვერხვთა შრიალი მოჰქონდა...

ეს იყო ხოი — წალკოტთა ქალაქი...

მცხოვრებლებს წინასწარვე დაეცალათ სახლები და თეირანში გახიზნულიყვნენ... მთელი ქალაქი სულ რაღაც ორმოციოდე სახლისაგან შესდგებოდა, სამაგიეროდ ყოველი სახლი უზარმაზარ ბაღში იყო გაშენებული...

ჩვენი ნაწილი ქალაქის ბოლოს, ერთერთ ბაღში დაბანაკდა. ბაღის შუაში პატარა სასახლე იყო, უცხოდ ნაგები. მისი კედლები შიგნიდან მოჭიქული ფიქალით დაეფარათ, ხოლო გარედან — ლაჟვარდისფერი კრამიტით მოეჭედათ. სასახლის შინაგანი მოწყობილობა თვალს სჭრიდა ადამიანს. ყველგან იშვიათსახეებიანი სპარსული ნოხები, — ამდენი ნოხი ერთად არასოდეს მინახავს!..

ბაღში მარმარილოს ოვალისებური აუზი და ორიგინალური შადრევანი იპყრობდა ყურადღებას. იშვიათი ყვავილებით გაკეთებული კვლები, გულმოდგინედ მოვლილი ბილიკები, სავალი გზები და ხელოვნური ბორცვები... ორი უშველებელი ფარშევანგი ამაყად დააბიჯებდა კვლებზე... ბაღს გარშემო ვარდის ბუჩქები ერტყა, ვარდის ბუჩქი იყო ამ ქალაქში ყველა ბაღისა და სახლის დამამშვენებელი... საერთოდ, ვარდი სპარსელის განუყრელი თანამგზავრია. ალბათ „გიულისტანის" დიდებულმა ავტორმა ამიტომ უძღვნა თავისი უკვდავი ნაწარმოები ვარდების წალკოტს...

ხოი ირანის პატარა, მაგრამ ულამაზესი ქალაქია...

დილით, როდესაც მზის სხივებისაგან დედამიწას ღვართქაფი ასდიოდა, გლეხების პატარა ბიჭებს მაღლობელი სოფლებიდან დატვირთული სახედრებით თითისხიმხა, სისხლისფერი ყურძენი ჩამოჰქონდათ. ერთ რეალად მთელი გოდორი შეიძლებოდა გეყიდა!.. ჩვენი ბაღის წინ პატარა რუ მოჩხრიალებდა, მის წყალში საზამთროსა და კიტრს ვაციებდით... მშვიდად გადიოდა ჩვენი იდილიური ცხოვრება ვარდების საოცნებო ბაღნარში...

*

სპარსული ჯარი დაშლილად იყო გამოცხადებული, მოხდა მისი სრული დემობილიზაცია, ჯარისკაცები ოჯახებს დაუბრუნდნენ. ქვეყანა უპატრონოდ იყო დატოვებული. მის შინაურ საქმეებში უსინდისოდ ერეოდა ხელს წითელი მოსკოვი. უმძიმეს ტვირთად დააწვა ირანს უზარმაზარი ბოლშევიკური არმიის შენახვა. რუსი ჯარისკაცები არაფერს ერიდებოდნენ, განუკითხავად სძარცვავდნენ მოსახლეობას, ართმევდნენ ყველაფერს — კვერცხს, ქათამს, პურს, ხილს...

მოსახლეობასა და რუს ჯარისკაცებს შორის თანდათან მწვავდებოდა დამოკიდებულება...

სიძვირე ჩამოვარდა, საყიდელსაც ისე ადვილად ველარ იშოვნიდი...

მდიდარი და უხვი ქვეყანა მოკლე ხნის მანძილზე გაპარტახდა, დაცარიელდა და გამოიფიტა...

ნაცრისფერხალათიანის გამოჩენას ქუჩაში ყველა უფრთხოდა, ქალები სახლის ფანჯრებს ჰკეტავდნენ, ხოლო ბავშვები დასამალავად გარბოდნენ...

წითელი ჯარის „განმათავისუფლებელი" მოღვაწეობა მშვიდობიან მოსახლეობაში თანდათან აქტიურ ხასიათს ღებულობდა...

*

თავრიზი!..

დაბოლოს, ბედნიერება მომეცა მეხილა აღმოსავლური ეგზოტიკის ეს მარგალიტი, რომელთანაც ჩვენი ისტორიული ბედი ეგზომ მჭიდროდ იყო გადანასკვული...

ავტობუსიდან გადაუქროდი გზას, მოუთმენლად მოველოდი რაიმე შემემჩნია თვალშეუდგამ სივრცეში...

გზატკეცილი ხშირად გორაკებს უვლიდა. დაღმართი ჩავიარეთ. კვლავ აღმართი დაიწყო, შემდეგ გზამ ვიწრო ხრამი გადასერა, ბორცვს გვერდი შეუარა და ტრიალ მინდორზე გავიდა. შორით მზის სხივებში მოლაპლაპე მინარეთები გავარჩიე...

თავრიზი! ირანის ძველი სატახტო ქალაქი, შაჰების სამფლობელო, ისტორიული დიდებით მოსილი, წარსულის მრავალ ამბავთა მოწმე და მონაწილე!..

ამ ქალაქში დასტოვეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა თავიანთი ძვლები, მის ზარამხანებში იტანჯებოდნენ ათასობით ქართველი ცირები, უდღეური სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდნენ დასაჭურისებული ჭაბუკები...

სეფევიდების სპარსეთი...

მრისხანე შაჰ-აბას პირველი... ქართველი დედების მოთქმა და ცრემლი, შორეულ ფერეიდანს გამგზავრებული ბედშავი კახელები...

წარსულის მწარე მოგონებანი!..

მაგრამ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ეს შავბნელი პერიოდი ერთი მხრივ მაინც არის საყურადღებო: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას სპარსეთის შაჰები არბევდნენ, სძარცვავდნენ და მოსახლეობას აუტანელ მდგომარეობაში აყენებდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფა მაინც არავის მოსვლია თავში. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ჩვენს ქვეყანას უდიდესი უბედურება დაატყდა თავს, — მრისხანე შაჰ-აბასის თარეშმა სისხლიანი ლაქა დაამჩნია ქართველი ერის ცხოვრებას, — ჩვენი სამშობლო მაინც დამოუკიდებელ ქვეყნად ითვლებოდა დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტებით. უკვე შაჰ სოლეიმანის დროს, მის კარზე წარმოდგენილი იყო საქართველოს, როგორც თავისთავადი ქვეყნის, ელჩი. ამის შესახებ ცნობილი გერმანელი მოგზაური კემპფერი, აღწერს რა შაჰის სასახლეში უცხოეთის ელჩების მიღების წესს, აღნიშნავს: „ჩვენ იქ შევხვდით აგრეთვე ელჩებს პოლონეთიდან, რუსეთიდან, სიამიდან, თურქესტანიდან და საქართველოდან". მართალია, ჩვენი ქვეყანა მაშინ ერთგვარ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო სპარსეთთან, მაგრამ მას, რაც მთავარია, ჰქონდა საშუალება თავისებური დიპლომატიური ურთიერთობისა სხვა ქვეყნებთან, ხელუხლებელი იყო ქართული სამეფო და მისი სახელმწიფოებრივი სახე. ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც სპარსეთის ძლევამოსილ შაჰს „დაპყრობილი" ჰქონდა საქართველო და ის, როგორც იგივე კემპფერის აღწერიდან ჩანს, თითქოს ირანის ერთ ნაწილს წარმოადგენდა.

ეს ყველაფერი ხდებოდა წინათ, ისტორიულ წარსულში. რაღას ვხედავთ დღეს, როდესაც საქართველო დაპყრობილია რუს ბოლშევიკთა ურდოების მიერ? ის, რაც ვერ შესძლო და არც არასოდეს თავში მოსვლია ირანის მბრძანებელს, განახორციელა „ლენინ-სტალინის ნაციონალურმა პოლიტიკამ", რომლის წყალობით საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა რუსეთის უბრალო პროვინციად იქცა და რომელიც უარეს პირობებშია ჩაყენებული, ვიდრე რუსეთის რომელიმე ოლქი. მეოცე საუკუნის ბარბაროსების მზაკვრულმა ხელმა ჩვენი სამშობლო შესძლო ამოეშალა მსოფლიო რუკიდან და მისი მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა...

შევყურებდი შაჰის ისტორიულ სასახლეს და თავში ათასგვარი ფიქრები მიტრიალებდა... სურვილმა მომიარა ჩამეძახა შაჰის აკლდამაში: თუმცაღა მბრძანებელო აღმოსავლეთისა, დამპყრობელო ჩვენი ქვეყნისა, მართალია, შენ დაუძინებელი მტრობა გქონდა საქართველოს მიმართ, მაგრამ შენს დროს ჩვენი სამშობლო მაინც თავისთავადი იყო; შენი დესპოტიზმი ხუმრობაა მხოლოდ, იმასთან შედარებით, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა დაგვმართა — ისტორიას არ ახსოვს უფრო მეტი სივერაგე ჩვენს მიმართ, ჩვენი ხალხისა და ჩვენი ეროვნული სიამაყის მიმართ!..

*

ქალაქგარეთ ბაზარი იყო გამართული...

*

დავეხეტებოდი თავრიზის ქუჩებში. ყოველი სახლი, ყოველი ქუჩა და ფოლორცი ჩემში შორეულ მოგონებებს იწვევდა. როგორ ჰგავდა ყველაფერი ეს ძველი თბილისის ქუჩაბანდებსა და ქიმწიბგრეულ სახლებს!.. რა სანიაზო გამოდგა განსაკუთრებით ჩემთვის ძველი თბილისის ერთხელ კიდევ გახსენება!..

ჩემს გვერდით ცხენის ტრამვაიმ ჩაიარა. ქალაქში ჯერ კიდევ დარჩენილი იყო ტრანსპორტის ეს ბედასლი სახე... ქუჩის დალაქებს სამუშაო, როგორც ჩანდა, ბევრი ჰქონდათ. ორ რეალად შეიძლებოდა თავის გაპარსვა. მუშტარი მრავალი ეხვიათ, მართალია, გაპარსვის შემდეგ კლიენტს თავდაჩეხილს ისტუმრებდნენ, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც სავსებით კმაყოფილად გრძნობდა თავს... ჩაიხანები ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებოდათ. ზედ ფილაქანზე ფეხმორთხმით მჯდომარე სპარსელს უნარი აქვს მდუღარე ჩაი დილიდან საღამომდე უდიდესი ნეტარებით სვას!..

ქალაქგარეთ ბაზარი იყო გამართული. მას ორი კილომეტრამდე სიგრძე ჰქონდა და მთლიანად სპარსული ნოხებით იყო მოფენილი. რას არ ნახავდა ადამიანი აქ! ხორაგი უხვად ეყარა, მყიდველს კანტი-კუნტად შეხედებოდით, სპარსელი გამყიდველი მთელი ხმით აქებდა თავის საქონელს და მუშტარს მოუწოდებდა...

მიწაზე გროვად დაეხვავებინათ ნესვი და საზამთრო, ფიროსმანის დახატული „ნატურ-მორტი" გეგონებოდა!

აღმოსავლური ბუნების ბარაქა!

ზეთოვანი ალუჩანაბადი, ინდური დანაკისკუდის თაფლა ნაყოფი, ქარვისფერი ხურმა, კაკლისამსხო ქიშმიში და ჩამიჩი; ნუში და ფუსტუღი, ყარამფილი და დარიჩინი, დედალ-მამალი ჯავზი და ირანული ძირტკბილა...

გზაზე ქარავანი ზანტად მიაბიჯებდა და ეჟვნებს აწკარუნებდა...

მეჩეთის წინ მოხუცი მორწმუნენი სთვლემდნენ... სადღაც ყვავმა დაიჩხავლა, საზამთროს გამყიდველის სახედარმა ყროყინი მორთო, აქლემების ქარავანი შეჩერდა, გზაზე მიწისფერმა ჯოჯომ გადაირბინა...

ჩემი მაჯის საათი თორმეტს უჩვენებდა...

სიცხისაგან მოქანცულმა გადავწყვიტე სადმე ცხელი ჩაი დამელია და ცოტა გავგრილებულიყავი. ფეხმორთხმა არ მეხერხებოდა, ჩაი ფეხზე მოვითხოვე. ჩემი სპარსულის მარაგი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში ყოფნისას შევისწავლე, იმისთვისაც კი არ გამოდგა საკმარისი, ამეხსნა, რატომ არ შემეძლო ნოხზე დაჯდომა. უმწეო მდგომარეობიდან გამომიყვანა მოხუცმა სპარსელმა, რომელიც დაჟინებით შემეკითხა, რა ეროვნებას ვეკუთვნოდი და საიდან ვახერხებდი სპარსულს. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემი ქართველობა გაიგო.

— როგორ, შენ გურჯი ხარ, ვეთ! — ქართულად მომმართა მან და ყურადღებით მომაშტერდა.

თავი სიზმარში მეგონა... არ ვიცი, რა წავილუღლუღე...

მოხუცმა გამაცნო თავისი ვინაობაც. იგი ფერეიდნელი ქართველი აღმოჩნდა, ყოლა ჰუსეინ ბოინელი, თავრიზში სავაჭროდ გადმოსული ფერეიდანის სოფელი თეღავიდან. ყოლა ჰუსეინს თან ახლდა მისი ვაჟი ალი აღა. მე პირველი ქართველი ვიყავი საქართველოდან, რომელსაც ისინი შეხვდნენ მთელი სიცოცხლის მანძილზე...

სუფრასთან ჩვენ ორნი ვისხედით, მე და ჩემი მასპინძელი ყოლა ჰუსეინი. შაშხინა ლულაქაბაბით დანაყრებულნი, შარბათს შევექცეოდით და ერთმანეთს ვუზიარებდით სამასი წლის განმავლობაში მომხდარ ამბებს... მოხუცი აცრემლებული თვალებით მიცქეროდა, მის სახეზე ერთი კუნთის მოძრაობაც ვერ შევნიშნე...

— ჩონ თითონ ჩონი თავი შევინახეთ, — აღნიშნა მან. — ჩონი ქალი პარსელს არ მიეცემა, არც ჩონ მოგვყავს პარსელის ქალი... — დაასრულა ყოლა ჰუსეინმა და ნარგილე გააბოლა...

უკვე ბინდი იყო, როცა გულითადად გამოვემშვიდობე ჩემს სტუმართმოყვარე მასპინძელს და ნაწილის სადგომისაკენ გავწიე...

ყოლა ჰუსეინთან შეხვედრამ სამშობლოს შავბნელი წარსულის მწარე მოგონებები ამიშალა.

ძალაუნებურად გამახსენდა რომაული ანდაზის სიტყვები:

„Sic transit gloria mundi"...

* დასასრული. იხ. გაზ. „საქართველო" № 28 (105), 29 (106).

ქართველი მოხალისეები იტალიაში. დასვენების საათებში გაზეთის კითხვა.

მეგობრობის განმტკიცების საღამო

ლეიტენანტი ვ. ბრანდტი

ქართული ლეგიონის გამოსაჯანსაღებელი ასეულის უმცროსმა მეთაურებმა და მებრძოლებმა, ზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს გასართობი დარბაზის გახსნაზე მიგვიწვიეს. ლეგიონის მეთაური, ადიუტანტი, თარჯიმანი და ასეულის მეთაური მხიარულად შევედით ძველი ფრანგული ყაზარმის ოთახში და გაკვირვებული მოულოდნელი სიურპრიზისაგან დავუწყეთ დათვალიერება ოთახის ახალ მოწყობილობას.

რა არ შეიძლება გააკეთოს ადამიანმა, თუ მას სურვილი და მონდომება ექნება! რამოდენიმე დღის ბეჯითი მუშაობის შემდეგად გამოსაჯანსაღებელი ასეულის მებრძოლებმა, მშვენივრად მოწყობილი გასართობი დარბაზი შექმნეს. კედლები ქართული და გერმანული მხატვრობით არის გაფორმებული. ფანჯრებზე ლამაზი ფარდებია ჩამოფარებული. ახლადგაკეთებული მრგვალი სასადილო და სათამაშო მაგიდები, რადიომიმღები, წიგნების კარადა, გასართობები და სათამაშოები... კედლებზე ჩამოკიდებულია ქართული და გერმანული დროშები, რომლებსაც ამშვენებენ ფიურერის პორტრეტები. სადღესასწაულოდ მოწყობილი განათება, ყველა სხვა მორთულობასთან ერთად, დარბაზს მხიარულ სახეს აძლევს და სტუმრებზე საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებს.

მათ მართლაც მეტად მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. გამოსაჯანსაღებელ ასეულს, რომელშიც ბრძოლის ველიდან დაბრუნებული მოხალისეები ისვენებენ, ასეთი დარბაზი აუცილებლად ესაჭიროება.

საუბრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ იწყება დარბაზის „ნათლობა". მოხალისეები მხიარულად ატარებენ დროს, სვამენ მეთაურებისა და ამხანაგების სადღეგრძელოს და სიტყვებში გამოსთქვამენ რწმენას გამარჯვებისადმი...

*

მამაცთა ათეული

ჩვენი ათისეული აღმოსავლეთში, ერთერთ სოფელში იყო დაბანაკებული. ქართულ ათეულს სოფლის განაპირას, ხის დიდ ბარაკში მშვიდად ეძინა. მხოლოდ გუშაგები ფხიზლობდნენ. მოულოდნელად საიდანღაც თავს დაგვესხა ბანდიტების დიდი ჯგუფი. ელვის სისწრაფით გამოვცვივდით ბარაკიდან.

გაიმართა სასტიკი ბრძოლა. ქართველი მოხალისეები თავგამოდებით უტევდნენ მტერს. შეუჩერებლად კაკანებდა ჩვენი ტყვიამფრქვევები და ავტომატები. ბრძოლა თანდათან უფრო გამძაფრდა და ბოლოს ხელჩართული სახე მიიღო.

ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა. ქართველებმა ვაჟკაცებმა სიმამაცესთან ერთად ეშმაკობაც იხმარეს: ისინი ხშირად რუსულ სახელებს იძახდნენ, რითაც შეცდომაში შეჰყავდათ წითელარმიელები. მოტყუებულ რუს ჯარისკაცებს ჩვენი მოხალისეები თავიანთები ეგონათ, რითაც საუკეთესოდ ისარგებლეს ქართველებმა და ღამის სიბნელეში მრავალ რუსს დუგლუგით თავი გაუჩეჩქეს.

რამდენიმე გადარჩენილმა წითელარმიელმა ძლივს მოასწრო თავის დაღწევა. ისინი ახლო ტყეში დამალულიყვნენ, დილით მათი აღმოჩენაც მოხერხდა. ყველა ისინი ტყვედ წამოიყვანეს.

ათისეულის მეთაურმა ასეთი გმირული მოქმედებისათვის ქართულ ათეულს მადლობა გამოუცხადა და მოწინავე მებრძოლები დასაჯილდოებლად წარადგინა.

მოხ: ბ. წ.

ქართველი მფრინავები

ობერლეიტენანტი ირაკლი მენთეშაშვილი

საბჭოთა რეჟიმის ჯოჯოხეთურ პირობებში მომიხდა საავიაციო სკოლის დასრულება. ომის დაწყების შემდეგ, მე, როგორც შტურმანი, გამგზავნეს ფრონტზე, სადაც, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, უნდა მეფრინა სტალინური ხელისუფლების განსამტკიცებლად...

მე, როგორც ჩემი სამშობლოს პატრიოტს, არ შემეძლო დამეწყო ბრძოლა მეგობარი გერმანელი ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც ყველა პატარა ერებისათვის, და მათ შორის, ჩვენთვისაც მოაქვს თავისუფლება და ბედნიერება. ამიტომ ყოველ წუთს მზად ვიყავი ჩემი ბრძოლა საქართველოს დაუძინებელი მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ მიმემართა. ვუცდიდი სამისოდ შესაფერ მომენტს. ეს მომენტიც დადგა. პასუხისმგებლობის სრული გრძნობითა და ჩემი მოქმედების შეგნებით გადმოვედი ძლევამოსილი გერმანული შეიარაღებული ძალების მხარეზე და სურვილი განვაცხადე საშუალება მომცემოდა ჩემი წვლილი შემეტანა კაცობრიობის მაჯლაჯუნის, წითელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ძლევამოსილ ლაშქრობაში.

მე ყველა პირობა შემიქმნეს დიდიხნის ოცნების განსახორციელებლად... ვაწარმოებდი სადაზვერვო გაფრენებს, ოპერაციებს აღმოსავლეთში ბანდიტების წინააღმდეგ, ვასრულებდი სარდლობის სპეციალურ დავალებებს...

რამოდენიმე ხნის შემდეგ სიხარულით შევიტყვე, რომ გერმანიის მხარეზე არიან სხვა ქართველი მფრინავებიც, ორი მათგანი — ვლადიმერ ჭკუასელი და ა. კარაპეტაშვილი გავიცანი კიდეც. მათაც დაუოკებითი სურვილი გამოსთქვეს ჩაბმულიყვნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

თანდათან მწიფდებოდა საკითხი ჩვენი ლეგიონის დამხმარე ქართული საავიაციო ესკადრილიის ჩამოყალიბების შესახებ. გვქონდა ცნობები, რომ ჩვენს მხარეზე იმყოფება ბევრი ქართველი მფრინავი, შტურმანი და ტექნიკოსი. მათი ერთად თავმოყრა და საქმის ორგანიზება, მიუხედავად ჩვენი ცდისა, დღემდე ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ ჩვენ გვქონდა საავიაციო შტაბის სანქცია, სადაც ეს საკითხი უკვე დასმული და მოწონებული იყო...

ჩემი მეგობარი ქართველი მფრინავები, რომლებიც დღეს აღმოსავლეთის საავიაციო ესკადრაში ფრინავენ, ჩემთან ერთად მოუწოდებენ ყველა ქართველ მფრინავს, შტურმანსა და ტექნიკოსს, აცნობონ „საქართველოს" რედაქციის თავიანთი ვინაობისა და ადგილსამყოფელის შესახებ. ქართული საავიაციო ესკადრილიის საკითხი ჯერკიდევ არ არის მოხსნილი, გვაკლია მხოლოდ მფრინავთა შემადგენლობა.

დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველი მფრინავი, რომელსაც სურს მთელი თავისი არსებით ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ემსახუროს, გამოეხმაურება ჩვენს მიმართვას და თავისი ცოდნითა და გამოცდილებით საკუთარ წვლილს შეიტანს სამშობლოსათვის წარმოებულ ბრძოლაში.

ზრუნვა დაჭრილი მოხალისეებისადმი

ქართული საკავშირო შტაბის დავალებით, შტაბთან არსებული სანიტარული განყოფილების მუშაკებმა დაათვალიერეს საფრანგეთში ის ლაზარეთები, სადაც ქართველი დაჭრილი მოხალისეები იმყოფებიან.

განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული ქართველ დაჭრილ მოხალისეთა მოვლის საქმე ქალაქ ალბის (სამხრეთი საფრანგეთი) სამხედრო ლაზარეთში, სადაც გერმანელ უფროს ექიმთან ერთად, მთელი ენერგიით მუშაობენ ქართველი ქირურგები და თერაპევტები. მათი გულმოდგინებისა და მშობლიური მზრუნველობის შედეგად რამდენიმე ასეული ქართველი განიკურნა.

გარდა ალბის ლაზარეთისა, მრავალი დაჭრილი და ავადმყოფი ქართველი მოხალისე წევს პარიზთან ახლო გაშენებულ გერმანულ ლაზარეთებში, სადაც მათ განსაკუთრებული ყურადღებით უვლის გერმანული სამკურნალო პერსონალი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სანიტარული მომსახურების საქმე კარგად არის დაყენებული ქართულ ლეგიონშიც, სადაც ავადმყოფები სისტემატიურად ღებულობენ პირველხარისხოვან საექიმო დახმარებას.

ქართველი დაჭრილი მოხალისენი ყველგან კმაყოფილებით აღნიშნავენ მათდამი გულთბილ დამოკიდებულებასა და მოვლას, რასაც ისინი ყველა ლაზარეთში ხედებიან, როგორც ქართველი, ისე გერმანელი ექიმებისა და მომვლელებისაგან.

ექ. დ. ჩ—ლი.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ევროპაში

ნ. იმნაიშვილი

ჩვენთვის, ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობისათვის, თითქმის სრულიად უცნობია თანამედროვე ქართული მწერლობის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურის, ჩვენი უსაყვარლესი მწერლის გრიგოლ რობაქიძის მოღვაწეობის ევროპული პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ყოფნის მანძილზე თითქმის ყველა მისი ნაწარმოები გერმანულად გამოიცა, ისინი მაინც ქართული ლიტერატურის კუთვნილებას შეადგენენ და ისეთსავე ინტერესს იწვევენ, როგორც „ლამარა" და „გველის პერანგი".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკვე დროა ჩვენი ახალგაზრდობის სულის მესაიდუმლის მთავარი ნაწარმოები, რომლებიც გერმანულად არის დაბეჭდილი, ქართულადაც გამოიცეს.

რედაქცია.

*

1. „DAS SCHLANGENHEMD", Roman. Eugen Diederichs Verlag, Jena, 1928.
2. „KAUKASISCHE NOVELLEN," Insel-Verlag, Leipzig, 1932.
3. „MEGI, Ein georgisches Mädchen," Roman. Rainer Wunderlich Verlag, Tübingen, 1932.
4. „DIE GEMORDETE SEELE," Roman. Eugen Diederichs Verlag, Jena, 1933.
5. „DER RUF DER GÖTTIN," Roman. Eugen Diederichs Verlag, Jena, 1934.
6. „DÄMON UND MYTHOS," Eine magische Bilderfolge. Eugen Diederichs Verlag, Jena, 1937.
7. „DIE HÜTER DES GRALS," Roman. Eugen Diederichs Verlag, Jena, 1937.
8. „ADOLF HITLER, von einem fremden Dichter gesehen," Eugen Diederichs Verlag, Jena 1939.
9. „MUSSOLINI." Eugen Diederichs Verlag, Jena, 1941.

უკვე თექვსმეტი წელია, რაც შესანიშნავმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ, თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზი ევროპაში, სახელდობრ გერმანიაში, გადმოიტანა. წიგნების [illegible] ნათლად გვიჩვენებს, რომ მისი კალმის ნაყოფიერება, ([illegible]) [illegible] წარმატებით სარგებლობს, ავტორს დიდხანს ცნობილ მწერლის სახელი მოუპოვებს.

პირველი წიგნი, რომლითაც გრიგოლ რობაქიძე წარსდგა გერმანელი და, საერთოდ, ევროპელი მკითხველის წინაშე, იყო 1928 წელს გერმანულ ენაზე გადმოთარგმნილი „გველის პერანგი". ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ეს რომანი დაწერილია საბჭოთა საქართველოში, ბოლშევიკური უღლის ქვეშ, და რომ ავტორს არ შეეძლო იქ თავისი შემოქმედება თავისუფლად გაეშალა. მაგრამ რომანში ლაღი ხელოვნებით ჩამოსხმული ღრმა ეროვნული აზრი — [illegible] თავისი ეროვნული ძალისა და მიწის ძებნა, თავის თავში ქართველის შვილის [illegible] შვილის პოვნა და შეგრძნობა — აჯადოებს ევროპელ მკითხველსაც, რომელიც ესალმება ქართველი მწერლის გამოსვლას ევროპის ასპარეზზე. ამ პირველივე წიგნის დიდმა წარმატებამ ახალი ხელი შეუწყო ავტორის გადაწყვეტილებას დაეტოვებინა სულისშემხუთველი ბოლშევიკური ჯოჯოხეთი, რომელიც თავისუფალი ეროვნული შემოქმედების საშუალებას უსპობდა [illegible].

1931 წლიდან გრიგოლ რობაქიძე მუდმივად ცხოვრობს გერმანიაში. აწ(?) სრულიად თავისუფლად, აცნობს ევროპას საქართველოს მდიდარ ხელოვან სულს, მის წარსულს და მის დღევანდელ ტრაგედიას, საჯაროდ ამხელს ბოლშევიკურ ბარბაროსობას ყოველ მხრივ. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ამისთვის გრიგოლ რობაქიძეს აქვს სავსებით წინამძღვრები: უპირველესად უღრმესი ცოდნა არამარტო ქართული ენისა, არამედ საერთოდ აღმოსავლეთისა და აგრეთვე დასავლეთის ლიტერატურისა და კულტურისა.

ორი რომანი — „მეგი" და „ქალღმერთის ძახილი" სიუჟეტი მოცემულია საქართველოს წარსული საუკუნის ისტორიის ფონზე. მეგი ქართველი ქალია, უფრო ზუსტად მეგრელი, ძველი კოლხეთის შვილი, რომელშიც დღემდისაც ცოცხლობს ძველი ელინური გადმოცემა ცნობილ ოქროს საწმისის(?) შესახებ. მეგიც თავისებური თანამედროვე მედეაა. მხოლოდ ის [illegible] არაფერს სჩადის. პირიქით, იგი ეროვნული ტიპია — განსახიერება ტიპიური ქართული [illegible], როგორც სიყვარულის, ისე ქალური თავმოყვარეობის საკითხში. ის [illegible] საყვარელ საქმროს და თავის საკუთარ [illegible] — ერთმანეთთან [illegible], ეს გარემოება უბიძგებს მას ბედნიერების და სიცოცხლის უარყოფისკენ. ისიც მედეასავით მკლავს თავის შვილს, დამცირებისა და შეურაცხყოფის ნიადაგზე. ავტორი ხატავს ამ ტრაგედიას ქართული ბუნების, ხალხური ჩვეულებათა და ისტორიული ამბების ფონზე.

„ქალღმერთის ძახილის" სიუჟეტი აღებულია სვანეთის ცხოვრებისა და ხალხური სარწმუნოებრივი შეხედულებების სფეროდან. ახალგაზრდა მწყემს-მონადირეს შეუყვარდება თავისი ცოლის ქალი [illegible] სოლომონის, ტყის ქალღმერთის „დალის" სახის მატარებელი. ამ სიყვარულის მიზეზით იგი დიდ ბოროტმოქმედებას სჩადის. ჩაკლავს საქმროს ცხოველს, მთებში თავისუფლად მონადირე თეთრ ჯიხვს და ამის გამო თვითონაც იღუპება. რომანში განსაკუთრებული ოსტატობით აწერილია სვანეთის მომჯადოებელი ბუნება და სვანური ზნეჩვეულებანი.

ქართველი მთიელი ტომების — ხევსურებისა და სვანების ზნეჩვეულებები აღწერილია აგრეთვე „კავკასიურ ნოველებში", რომლებიც წარმოადგენენ სამ პატარა მოთხრობას. წიგნში [illegible] პირველი ნოველა „[illegible] წყარო", რომელიც ამ ეპოქის ნაწარმოებთა შორის შედევრად შეიძლება ჩაითვალოს.

დიდი ინტერესი არამარტო ლიტერატურული, არამედ პირველ რიგში, აქტუალური პოლიტიკური თვალსაზრისით გამოიწვია ორმა თანამედროვე რომანმა: „მოკლულმა სულმა" და „გრაალის მცველებმა".

„მოკლულ სულში" ავტორი უკვე სრულიად საჯაროდ და თავისუფლად გამოდის ევროპული აუდიტორიის წინაშე, როგორც მხატვრული მამხილებელი ბოლშევიკური ბარბაროსობისა, ბარბაროსობისა, რომელიც მკლავს ადამიანის სულს და სპობს ყოველგვარ თავისუფლებას, როგორც პირადს, ისე ეროვნულს. რომანი მიმართულია საერთოდ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მასალა კი აღებულია საქართველოს ცხოვრებიდან. ავტორი აქ არ მიმართავს საშინელი სცენებისა და მასობრივი [illegible] აღწერას. ის უბრალო მაგალითებზე გვიჩვენებს, თუ როგორ ანადგურებს ბოლშევიზმის ჯოჯოხეთური ძალა ადამიანის სულს, თუ როგორ აქცევს ის გულწრფელ პატრიოტებს უბრალო მოღალატეებად, თუ როგორ აიძულებს იგი იდეალურ მეგობრებს ერთმანეთის [illegible]. გასაგებია, რომ „მოკლულმა სულმა" უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა გერმანიაში.

სრულიად თავისებური, აქტუალური და ამავე დროს სავსებით ქართულ-ნაციონალურია აგრეთვე რომანი „გრაალის მცველნი".

გრაალი წმინდა სასმისია, რომელშიც [illegible] ქრისტეს სისხლი. ავტორის

დასასრული მე-6 გვ.

კარიკატურის ფურცელი

უცხოეთიდან

ჯუღაშვილი: იოცილიანტო! ჯარკოფეს არ მოგიტანიათ ჩემთვის 100-პროცენტიანი წითელი სასმელი, რომელიც მე ოთხი წლის წინათ შევუკვეთე. რამდენ ხანს უნდა ვუცადო კიდევ?
ჩერჩილი: ამ წუთში! კიდევ რუზველტი მოვა მალე.

*

ერთიერთი დანაყოფის ფრონტის დასასრული

— ბატონებო! კიდევ ერთი მოკლე ნახტომი და ჩვენ უკვე მეზობლად ვიქნებით!

გაუთვალისწინებელი დარტყმა

— ასეთი დარტყმა არ იყო გათვალისწინებული ჩვენს პროგრამაში!

ქართული ჭიდაობა ჩვენს ერთიერთ ბანაკში.

გეოგრაფიის მოყვარული

კითხვები

1. დაასახელეთ პუნქტები დედამიწის ზურგზე: ა) რომელიც მდებარეობს გრძედის 0 გრადუსზე და განედის 0 გრადუსზე და ბ) რომელსაც აქვს მხოლოდ გარკვეული გრძედი, ხოლო განედი არა.
2. რომელი მკვლევარი მიუახლოვდა ყველაზე მეტად დედამიწის ცენტრს?
3. დაასახელეთ ორი კონტინენტი ერთ პატარა ზღვაში, რომელნიც დედამიწის სხვადასხვა მხარეებს ეკუთვნიან.

*

საინტერესოა აგრეთვე რას გვიპასუხებენ მკითხველები კითხვაზე: „რომელი საათია ეხლა პოლუსზე".

საჭიროა არც ისე მარტივია, როგორც ეს შეიძლება პირველი შეხედვით მოგვეჩვენოს.

„ეს რა ქვეყანაა?"

გეოგრაფიული ცოდნის გაღრმავებისათვის მეტად სასარგებლოა თამაში ე. წ. „ეს რა ქვეყანაა?"

ერთი მოთამაშეთაგანი კითხულობს (უკეთესია, თუ იგი ამას სიტყვიერად მოიყვანს) რომელიმე ქვეყნის (რაიონის ან ქალაქის) აღწერილობას. ამასთან იგი არ ასახელებს კონკრეტულად გეოგრაფიულ სახელწოდებებს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დანარჩენმა მოთამაშეებმა გამოიცნონ, რომელ ქვეყანას (რაიონს ან ქალაქს) ეკუთვნის აღწერილობა. თამაში იგებს ის, ვინც პირველად დაასახელებს მის სახელწოდებას.

კითხვების პასუხები
№ 27 (104):

[illegible]

თავსატეხის პასუხი
№ 27 (104):

ლანდშაფტის გამოსახვაში დაშვებულია შემდეგი შეცდომები: 1. ოაზისში შეუძლებელია იყოს ტბა; 2. პალმებს შორის ამოსულა ფოთლოვანი მცენარე, რომელიც დამახასიათებელი არ არის ოაზისის ფლორისათვის.

გამოცანა

დააკვირდით აქ მოთავსებულ სურათს. ეს არის მოგზაური, რომელმაც მოიარა მრავალი ქვეყანა. ყველაზე მეტად ამ ქვეყნებში მას აინტერესებდა, ხალხის ტანისამოსი და ის ნივთები, რომლებსაც ისინი ცხოვრებაში ხმარობენ. მოგზაურობის დროს იგი სიამოვნებით შეიძენა სხვადასხვა ერთა ნაციონალური ტანისამოსის რაიმე ნაწილი და აგრეთვე ნივთები. დააკვირდით სურათს და შეეცადეთ გამოარკვიოთ, რომელ ქვეყნებში იყო იგი.

ჭადრაკი

ჭადრაკი
ამოცანა № 14
ს. ლოიდი

შამათი 2 სვლაში

თეთრები: მეფა8, ლდ7, ეტა4, ეტძ6 (4).
შავები: მეფა6, ლხ6, კხ5, პა5 (4).

ამოცანა № 13 გადაწყვეტა:

ეტძ8 - ძ4!

ნარევი

საზღვარი ოთახში

როგორც ცნობილია, პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრების გავლება ზმირად ძნელად განსახორციელებელ ამოცანას წარმოადგენს. მეზობლის გაპარტივების მიზნით ჩვეულებრივად სცდილობენ საზღვარი გაატარონ რაიმე ბუნებრივ გამყოფ ხაზზე. როგორიცაა: მდინარეები, ზღვის ნაპირები, ტბები, მთის ქედები და ა. შ.

მაგრამ ბუნებრივი საზღვრები ყოველთვის ვერ შველის საქმეს. ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება სწორი ან ტეხილი ხაზების გავლება მერიდიანებსა და პარალელებზე ან საერთოდ რომელიმე სწორი ხაზის გასწვრივ. ზღვაზე ასეთი საზღვარი, აქტიურ უფრო სიმბოლურ ხასიათს.

საზღვრების სწორხაზოვნად გატარების პრინციპის ურყევად დაცვამ შეიძლება მიგვიყვანოს უცნაურ კურიოზებამდე. მაგ., კემბრიჯეში (სამხრეთ აფრიკა), რომელიც ამჟღავნებდა გერქვან ტბის ზედაპირის ვიქტორიული გამყოფლობაზე, ...

[illegible]

... რომ, რომელსაც საზღვარი პატარა ამგვარად და საზღვრის ერთ ნახევარში, იგი ოთველებოდა თავისუფალი რესპუბლიკის მოქალაქედ და ემორჩილებოდა მის კანონებს, ხოლო ოთახის მეორე ნახევარში — კანადის პროვინციის კოლონიისად და ირიცხებოდა იყო თავისი მოქმედება დაექვემდებარებინა კოლონიის იურისდიქციისათვის.

შეამოწმე შენი ცოდნა

კითხვების პასუხები
№ 26 (102):

1. მოლამბდია ანუ ნიდერლანდი (ნიდერ — დაბალი, ლანდ — ქვეყანა).
2. აჭილევსი ბერძნული მითოლოგიის გმირია. მისი ისარი გაჩერდა მხოლოდ ქუსლში შეიძლებოდა. აქედან, გამოთქმა „აჭილევსის ქუსლი" გადატანითი მნიშვნელობით ნიშნავს ყველაზე სუსტ ადგილს.
3. დღისით ვარსკვლავებს ვერ ვხედავთ, რადგანაც მათი შუქი ატმოსფეროს ატომოსფეროში განწეული მზის სინათლით. მაღალი მთების მწვერვალებიდან და მოთუშეთი სტრატოსფეროდან, სადაც მაღლი შედარებით განიშეათებულია, ვარსკვლავები დღისითაც ჩანან.
4. რამაკვეროვულია, აჭვი.
5. მდინარე რეინის უძველესი სახელწოდებაა დაზიანა. იგი წარმოადგენს დუნის მიის სახელისაგან, საიდანაც რეინა იწყებს სათავეს.

№ 27 (104):

1. ავიაცია პირველად გამოიყენეს ბერძნებმა 1912 წელს ბალკანის ციხე-სიმაგრის ალყების ბალკანეთის ომის დროს.

წყალქვეშა ნავი პირველად გამოყენებულ იყო ჩრდილოეთ-ამერიკაში სამოქალაქო ომის დროს, 1864 წელს 7 თებერვალს ერთდერთმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა სამხედრო გემი „მოუსატონიკი".

2. შავი ჭვეთი ჩინეთში არსებობდა ...

[illegible]

4. უწყებული მწერალი მისი იოკაი (1825-1904 წ. წ.).
5. შეუდგება და მეცხვარეობისთვის უძველესი დროიდან ... დამოუკიდებელ შეიარაღებულნი რაზმები, მე-12-13 საუკუნეებში „ტალიაში ახალი რაზმებმა მიიღეს „ჯგუფიერის" სახელწოდება (ჯერმანული სიტყვიდან — „ჯგუფელი", რაც ნიშნავს ლაცებს, გაუქრობლებს).

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა ვარძიელი

რედაქციის მისამართი
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Berlin SW 68, Neuenburgerstr. 14.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ევროპაში

რომანის თხრობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას. ავტორი, თავისი მთავარი გმირის ლევან ორბელის პირით, აკრიტიკებს ამ აჯანყებას და გვაცნობს თავის აზრს მისი დამარცხების მიზეზთა შესახებ. მაგრამ განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველი ერისა, როგორც ასეთი, სიმბოლურად გამოხატული გრალის რაინდთა ბრძოლაში, წარმოადგენს მთელი რომანის დედაზრს.

გარდა ზემოთყვანილი თხზულებებისა, გრიგოლ რობაქიძის კალამს ეკუთვნის კიდევ სამი გერმანულ ენაზე ...

[illegible]

ხელოვნური გაქრობილი არსებობს ქართული გრალი, რომელშიც ინახება საქართველოს ერთგული ...

[illegible]